წლიწადი მესამე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი გიორგი

მირს რუსეთის ბატონობა!   დიდება 26 მაისს!   გაუმარჯოს საქართველოს!

პარიზი
26 მაისი 1928 წ.
N° 11

ქართველ პატრიოტთა ორგანო «თეთრი გიორგი»
Journal de l'Organisation des Patriotes Georgiens « THETRHRI GUIORGUI »

N° 11
26 Mai 1928
PARIS

26 მაისი.

26 მაისი—ეს ჩვენი აღდგომაა!

26 მაისმა ოცნება სინამდვილეთ აქცია, და ვინ უწყის საიდან მომდინარე, დიდის ხნით ამომშრალ, ერის ცხოვრების წყაროს კვლავ მოუძებნა ახალი მოკასკასე თვალი.

ამას ყველა გრძნობს, ყოველი ქართველის გონებაში მძლავრად შეიჭრა 26 მაისი და ყოველი ქართველის გრძნობა გაჟღენთილია 26 მაისით. საქართველო გარეშე და შინაურისაგან უარყოფილი კვლავ გაცოცხლდა, წამოდგა და არსებობს.

დიახ! არსებობს!

ფიქრობს, შრომობს, იბრძვის!

ეს კარგათ და მშვენივრად იცის თვით დაუზოგველმა მტერმა და ეშინია კიდევაც მისი.

თუ არა შიშით, რით აიხსნება, რომ ამ დღის—26 მაისის მოახლოვებაზედ იგი აამოძრავებს თავის ჯოჯოხეთურ მანქანას, თავისი მთელი ძალითა და ღონით და აავსებს ხოლმე ჩეკა—ციხეებს ქართველებით?

იგი გრძნობს, რომ საქართველო არსებობს და 26 მაისი აღდგომაა! მისი დღესასწაულია!

მოღალატეებმაც მშვენივრათ იციან და ძრწიან! შიში მოღალატეებს სულ თან ახლავს!

მას ეშინია თავისი ღალატის, საკუთარის ნებით ჩადენილის და იცავს თავს, სასჯელის მოახლოვების ლანდისაგან.

მაგრამ ავიწყდება, რომ ციხეებში ქართველების დამწყვდევა შეიძლება, მაგრამ საქართველოს სულის და 26 მაისის დატუსაღება, დახვრეტა არ შეიძლება.

იმ უჩინარ გრძნობათა ქსელის, რომელიც ქართველთა გულთ ერთმანეთში გადახლართული აქვთ, არც საპყრობილეში ჩასმა და არც დახვრეტა არ მოხერხდება და რამდენათაც მრავლდება რიცხვი ტანჯულთა და წამებულთა ამ დღისათვის, იმდენათ დიდდება და მტკიცდება თვით ეს დღე!

ამას გრძნობს მტერი და ძრწის!

ჩვენ ქართველნი ვდღესასწაულობთ!

მტერი კი მალავს, მაგრამ მაინც ძრწის!

აი, სადა სჩანს 26 მაისის სიდიადე, აი სად არის მისი უკვდავება!

იმედით აღვსილნი, ბრძოლის სურვილით და ნების ყოფით აღჭურვილნი ვდღესასწაულობთ ჩვენს ძვირფას ჩვენს ლამაზ 26 მაისს!

მალე დადგება დრო, გულში ჩამხრჩვალი ფარული სიხარული დღეობისა გამომზეურდება და თავისუფალ ტფილისში, თავისუფლების მოედანზედ ქართველები ერთმანეთს გადაეხვევიან და ხმა მაღლად და ამაყად შეჰღაღადებენ:

საქართველო აღსდგა!...

დღეს 26 მაისია!

გილოცავ!...

მეგობარი.

◆

ათი წლის თავი.

დაობლებული სამშობლო დღესასწაულობს 26 მაისის ათი წლის თავს.

საქართველოს ისტორია კვლავ მშვენდება წამებულ მამულიშვილთა სახელებით.

თუ—18 წლის 26 მაისი ვერ გამოხატავდა საუკუნეთა განმავლობაში თავგანწირულ ბრძოლის და სულისკვეთების შინაარსს, დღეს ის, უხსოვარ დროიდან მომდინარე, უკანასკნელ საუკუნეში უკუღმართობით მოდუნებული, ქართველთა რაინდობით და თავდადებით არის განმტკიცებული.

დღეს, 26 მაისს საუკეთესო პატრიოტთა ძვლებით მოკირწყლული საფუძველი აქვს, განბანილი უკვდავ გმირთა სისხლით, განწმენდილი ძაძებში მოსილ ქართველ დედათა ცრემლით.

მანათობელი ტანჯულ სამშობლოს სანეტარო მომავლის, იგი აღბეჭდილია დღეს ყოველ ქართველის გულში და თეთრი გიორგის ლახვარით რისხვას უგზავნის მტერს და ქვეყნის გამცემთ.

ქართველ ერის ძლევამოსილი გვირგვინი, მატარებელი უხილავი, უკვდავი ძალის, დღეს ურჯულოთაგან შეურაცხყოფილი, 26 მაისის აღდგენისაკენ მოგვიხმობს.

ბრძოლისაკენ გვეძახის მარად საამაყო ეროვნული საფლავი, სადაც ათასნი მეომარნი განისვენებენ.

კოჯორ—ვაკის თხრილებში ჩაფლულთ, თუ ჩეკის ბნელ სარდაფებში განაწამებ მამულიშვილთა აჩრდილი თავს დაგვტრიალებს, შურის ძიებას ითხოვს.

დამწუხრებული დედები საქართველოს დახსნისათვის ლოცულობენ, ფიცს მოითხოვენ სამშობლოსადმი ერთგულებისა, ის დედები, რომელთაც ყველაფერი სამშობლოსადმი შეუწირავთ, რომელნიც გლოვობენ მხოლოდ იმას, რომ მეტი არაფერი დარჩენიათ საქართველოს სანაცვალოდ.

ქართლის მუდმივი მფარველი, ამაყი ტრადიციის დამცველი, დღეს სამშობლოს სადიდებლად მოვლენილი თეთრი გიორგი თავის შუბს ლესავს, სიკვდილს ამზადებს.

შემოსილი განსპეტაკებული სულით, აღგზნებული ახალი იმედით ამ ეროვნულ ზეიმის დღეს 26 მაისს, რომლისაც სამშობლო გლოვის სუდარას დაუფარვია, თეთრი გიორგი საქართველოს შვილთ მთლიანობისაკენ მოუწოდებს.

ერთსულოვანი ორგანიული დარაზმვა დაგვიბრუნებს მხოლოდ 26 მაისს.

ვისაც საქართველოს მომავალი სჯერა, ვისაც სწამს ეროვნული იდეალის უზენაესობა უნდა იწამოს უკვდავი იდეა: «საქართველო უწინარეს ყოვლისა» რომელიც თეთრი გიორგის თავის დროშაზე გამოუსახავს.

დღეს ხომ ყველასათვის აშკარაა, ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შესძლეს ქვეყნის მართვა და ვერც განმანთავისუფლებელ ბრძოლის ხელმძღვანელობა.

ვერ შესძლეს იმიტომ, რომ გამომდინარე განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფის ინტერესებიდან, მატარებელნი დაავადმყოფებულ ფსიქოლოგიისა, ისინი ზრუნავენ მხოლოდ პარტიულ ჰეგემონიაზე. მათ არ ძალუძთ ჯგუფური ინტერესები ეროვნულ დისციპლინას დაუმორჩილონ, რის მწარე გაკვეთილებს წარსული საკმაოდ იძლევა.

და ჭეშმარიტად აღსდგება 26 მაისი.

როდესაც საქართველო ჩრდილოეთიდან შემოხიზნულ გამრყვნელ—დამშლელ ფსიქოლოგიას მიწას მიაყრის, განსახიერდება ეროვნული შეგნების მოუკვდავ სულით და დღეს არსებულ პოლიტიკურ პარტიათ სულთათანას უგალობებს.

კ. სალია

◆

26 მაისი და მისი პოლიტიკური მემკვიდრე თეთრი გიორგი.

ვინც გაიხსენებთ განცდას 26 მაისისას თავისუფალ საქართველოში, გაიხსენებთ გრძნობებს საქართველოს ჯანმრთელი მაჯის-ცემისა, ბედნიერებით ღიმილ მორეული ვარამს გაბედულათ თვალებს გაუსწორებდით და მოძმეს ეტყვით: მიამბე ძმაო კიდევ ერთხელ, მოთხრობა ჩვენი ცხოვრების, რომ ვიცნო თავი ჩემი, თავისუფალ საქართველოსათვის, 26 მაისისათვის. რას ვაკეთებთ, რას ვშვრებით და სად არის აღსავლის კარები მისთვის მსხვერპლის შესაწირავად? და იწყობა ამბავი არა იმედზე ან საყვედურზე, არამედ სინამდვილეზე.

რუსეთმა შემოგვიტია: ორჯელ მიაღწია მიზანს და ძალით გაბატონდა ჩვენზე. ახალი უკანასკნელ შემოსევაში ჩვენთვის არის, ორთავიანი არწივის ეპოლეტის ჩაქუჩით და ნამგლით შეცვლა. აშკარაა ყველასათვის, ვინც ოდნავ იცნობს ერთი საუკუნის წინ მომხდარ შემოსევას, რომ სთქვას: ეს არის ძველი საქმე ახალ ქურქში. ბოლშევიკების წითელი დროშა მეტად განმსჭვირვალე გამოდგა ძველი მტაცებელი კლანჭების დასაფარავად. და სამშობლოს სინამდვილე ნათლად ლაპარაკობს თუ როგორ ნადგურდება ამ ბრჭყალების ქვეშ მისი სული და სხეული.

ჩვენ ყველამ განვიცადეთ ეს ჩრდილოეთის სუსხი. ხშირად მოუთხრობთ მის განმანადგურებელ მოქმედებაზე, მათ ცდას ქართველის დაგეჩავებაზე და დამონებაზე.

მტრის საქმიანობა ნათელია: ებრძოლა ყველა ეროვნულ გამომჟღავნებას, ებრძოლა ქართულ «სიდიდეს».

ჩვენ კი ქართველი მოდგმის და ეროვნულ მთლიანობის მატარებელნი, მათაყვანებელნი ქართული ზეიმის 26 მაისის, დამცველნი ქართული «სიდიდის»; ყოველ დარგში ვგრძნობთ მტრის შემოსევას ისე, როგორც ეს სინამდვილეში არსებობს.

დიახ! ეს არის თეთრი გიორგის მოძრაობა.

თავდაცვის სახე უკეთესი მომავლისაკენ.

უარსაყოფათ გარეგან და შინაგან დამშლელი ძალებისა გასამაგრებლად 26 მაისის სულის გ. ი. სიყვარულის. სილამაზის და ტრადიციულ სინათლის, საწინააღმდეგოთ შინაგანი სიძულვილის და სიმახინჯისა. გასამტკიცებლად მთლიანობის და პირდაპირობის, უარსაყოფად ორპირობისა.

ის, რაც ვერ მოგვცეს არსებულმა პარტიებმა ჩვენში და რაც ქართველ ხალხში სტიქიურად არსებობს, თ. გ-ის ამოცანათ უნდა ჩაითვალოს. თეთრი გიორგიმ შეიგნო 26 მაისის სული, რაც ვერ გაიგეს ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა. მთავარი შეცდომა მათში არის მეტი დამშლელი ცეცხლის არსებობა ვინემ შეერთების და სახელმწიფოებრივი შემოქმედების, რაც 26 მაისის სულის წინააღმდეგობას ნიშნავს. ეს მოხდა რადგან მათ სჭირდებოდათ ასეთი ენერგიის განვითარება სოციალიზმის საშენებლათ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათ შემოქმედებას დაშლითი ელფერი აქვს, მაინც დაგვრჩა მათგან ძვირფასი მოგონება და ეს არის მათი ნაწილობრივ მონაწილეობის მიღება რუსეთის იმპერიის მათდამი უნებლიეთ დაშლაში, დიდი ომის შემდეგ, რაზედაც საქართველოს თავისუფლება აღმოცენდა.

მათმა ასეთ შინაგანი ღრღნის ტრადიციამ აჯობა და 26 მაისმა ვერ მისცა საკმაო ცეცხლი ეროვნული თავდაცვისა და შინაგანი ბუნების გარდაქმნისათვის. ისინი ვერ გამოვიდნენ ვიწრო პარტიულ ფორმებიდან, რის გამო შინაგანათ მოიჯაჭვნენ. საჭირო დროს სახელმწიფოებრივ შეგნების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ.

თუმცა ზოგიერთი პარტიები დიდ მიღწევებს აკეთებდნენ თავის დარაზმვაში საქართველოს თავისუფლების დროს, მაგრამ ამით საქართველოს «სიდიდეს» და 26 მაისის ბუნებას ცოტა ემატებოდა. პირიქით ასეთი ზრდა დამარცხება იყო, რადგან თავის ზრდაში ისინი ეყრდნობოდნენ ქართველის ქართველზე გადაკიდებას და «კლასობრივ კინკლაობას» რაც საბოლოოდ საერთო დამარცხებას და 26 მაისის უარყოფას ნიშნავს.

თ. გ. ჩაისახა ახლათ იქ, სადაც ეროვნული ატმოსფერა ყველაზე მკვრივი იყო, არა ბედნიერების, 26 მაისის სიმკვრივეზე, არამედ სადაც ქართველმა ხალხმა ყველაზე მძიმეთ დაიკვნესა და უმწვერვალესად იგრძნო მთლიანობის აუცილებლობა. ეს იყო მეტეხის გარშემო. მთლიანობა არა ისეთი ხელოვნური, როგორც ეს დღესაც არსებობს ქართველებს შორის ევროპაში, არამედ ორგანიული მთლიანობის, რომელიც სტიქიურათ

26 მაისში გამოიხატა. მისი პირდაპირი განვითარება იქ არ მოხერხდა. ერთ მთავარ მიზეზთაგანი იყო ისევ ის ძველი ვიწრო პარტიული ყინვა, რომელმაც მოსწყვა პირველი კვირტი ჯანსაღი ეროვნული ჩანასახისა.

აქედან იწყება მუდამ დამცველი თ. გ. დროშის ჟანლოვსის ისტორია, ახალი ნაზიარები საქართველოს თავისუფლებით, ჭირით, მტერით და ჩაგვით. ის დღესაც გამოპირვის წვამია, რომ ყველა წინააღმდეგობას თავისი გაგათილება წარუყენოს.

ჩვენი პოლიტიკურ პარტიების მეთოდი და საქმიანობა სავსებით არ შეეფერება დღევანდელ საქართველოს და მის თავდაცვას. მათი მეთოდი არის მეტად ძველი გაკაჟებული, რომელიც 26 მაისითაც ვერ განიკურნა. და ამიტომ არის რომ შეუპოვებელი ახალ პიროვნებს დიდი მსხვერპლის გაღებით, პატარა საქმეებსაც ვეღარ ერევა. ძველად თუ ისინი ძლიერი იყვნენ სოციალიზმის დაცვაში და თავისდა უნებლიეთ დაეხმარნენ საქართველოს თავისუფლებას რუსეთის დაშლით, შემდეგ ისინი უძლური გამოდგნენ ერის თავისუფლების დაცვაში და დღესაც უძლურნი არიან, რადგან სწორედ ის დამშლელი ბრძოლის ძალა რომელიც მათში ძლიერია, ეწინააღმდეგება ერის აყვავებას და თავისუფლებას.

სხვა მრავალ უარყოფით მხარეებთან ერთად მათ ახასიათებს ორჭოფული არა პირდაპირი ბუნება, რაც ნათლად სჩანს მათ რუსეთთან დამოკიდებულებაში. ნაწილი ამტკიცებს რომ რუსეთის ხალხთან არავითარი საქმე არა აქვთ. დანარჩენი პირდაპირ თქმას ერიდება. ეს იმ ხალხზე, რომელიც განურჩევლად რეჟიმისა, მტერია საქართველოს დამოუკიდებლობის. აი მათი დღევანდელი სული, ძველი და ერის დამღუპველი. ზოგიერთ გულუბრყვილოს ეს მათი რუსეთთან არა მტრული დამოკიდებულება დიპლომატიური ხერხი ჰგონია, ეს დიპლომატია მეტად შეუა აზიურია და წააგავს განსაცდელში ჩავარდნილ სირაქლემას ხერხს, რომელიც თავის მოტყუებაა მხოლოდ.

თეთრი გიორგის კი ახასიათებს მკაფიო, აშკარა და სწორი ბუნება. მთლიანობა, პირდაპირობა საქმის და აზრის, როგორც შიგნით ისე გარეთ და მკაცრი გამიჯვნა მტერსა და მოყვარეს შორის.

მხოლოდ ამ დებულების განხორციელებაზე აშენდება საქართველოს სიძლიერე, რომელიც მის ბრძოლას და თავისუფლებას ქვაკუთხედათ უნდა დაედვას.

ქართველნო! მუშლივით გვსვევა მტერი დღეს საქართველოს კეთილდღეობას. შინაგან ძალებში სამშობლოს ერთგული გუშაგი მხოლოდ თეთრი გიორგია პირდაპირი და გარკვეული სახით.

ვინც დასძლევს ყველა დაბრკოლებათა სიმწვავეს და გმირული სულით ამხედრებული, დადგება თ. გ. დროშის ქვეშ, ისაა ჭეშმარიტად ნაზიარები 26 მაისით და მემკვიდრე ჩვენ სახელოვან წინაპართა.

ახალგაზრდებო! იცანით 26 მაისი და მისი პოლიტიკური მემკვიდრე თეთრი გიორგი.

აი მოძრაობა ვისაც გაქვთ გული სამშობლოს სამსახურისათვის.

ირ. ოთხმეზური.

⁂

1918 წ. 26 მაისს ქართველი ერი შეუდგა თავის ისტორიულ მისიის გაგრძელებას.

უკუღმართმა ბედმა ქვეყნის მესვეურობა არგუნა მათ, ვინც არ სცნობდა მის ტრადიციულ დანიშნულებას.

საქართველოს ჭირისუფლათ გამოვიდნენ ისინი, ვინც ათეულ წლების განმავლობაში ქადაგებდნენ, რომ ნაციონალიზმი არის დრომოჭმული შემეცნება, რომ პატრიოტიზმი არ შეეფერება კულტურულ ადამიანს, შეიარაღებული ჯარი არის ნაშთი ბარბაროსობის, უდიდესი დაბრკოლება ყოველგვარ პროგრესისა და ეს მაშინ, როდესაც ქართველ ერს სჭირდებოდა სისხლით დაცვა თავის უფლების.

ძალა უფლება ხელთ ჩაიგდეს იმათ, ვისთვის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა სრულიად უცხო იყო, ვინც ნგრევითი ფსიქოლოგიით იყვნენ აღზრდილნი და რასაკვირველია მათ ვერ შესძლეს პასუხი გაეცათ ჩვენი ერის სასიცოცხლო მოთხოვნილებისათვის.

ქართველ ხალხს სჭირდებოდა თავის სახელმწიფოს გამიჯვნა მეზობელ ერებისაგან, აი დროს კი ჩვენმა მესვეურებმა მიმართეს დამღუპველ დემოკრატიულ მეთოდს საზღვრებისა და ტერიტორიის გამორკვევისა ეთნოგრაფიულ პრინციპით. ეს პრინციპი მისაღებია მაშინ, როდესაც ერი დაპყრობილია და ის სცდილობს ამ პრინციპით თავის ტერიტორიის თავის მკვიდრთა უფლებით დაპატრონებას.

სახელმწიფოს საზღვარი უნდა იყოს გაყვანილი პოლიტიკურ-ეკონომიურ სტრატეგიულ თვალსაზრისით. ამ საკითხში ჩვენმა მთავრობამ ბევრი წინდაუხედავი და გაუთვალისწინებელი დაპირება მისცა, რომელმაც შეიძლება ითქვას, საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს სომხეთის დამოკიდებულებაში.

მთავარი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა სახელმწიფოს მმართველთა არის რეგულიარული ჯარის შექმნა; ჯარი ყოველთვის არის დამცველი არსებულ წესწყობილების და როდესაც ძალაუფლება ახალ კანონიერ მთავრობის ხელში გადადის, ჯარი მას გვერდში ამოუდგება და მას იცავს.

ის სამხედრო ძალა, რომელიც რევოლიუციონურ მოძრაობის დამცველათ გამოდის და რომელსაც ნაციონალური გვარდია, ან ზოგიერთ სხვა სახელწოდებით, არ არის რეგულური ძალა, არამედ მხოლოდ ფსიქოლოგიურად მომქმედი შეშინებულ მოწინააღმდეგეზე.

ახალი წესწყობილების დამყარებისთანავე გონიერი მმართველნი სცდილობენ ამ ზედმეტი ძალის, შემთხვევით შეიარაღებულ უდისციპლინო ორგანიზაციის გაუქმებას, რომელიც შეიძლება დიდ საფრთხეთ გადიქცეს არსებულ წესწყობილებისათვის და შექმნას იმავე დროს მეორე ხელისუფლება. ჩვენი მთავრობის ბევრ სხვა უარყოფით მხარეებთან ერთად დიდი შეცდომა იყო, რომ მან არ გააუქმა სახალხო გვარდია, რომელიც დიდათ ხელს უშლიდა ეროვნული ჯარის შექმნას.

დაიწყეს რა სახელმწიფოს აღმშენებლობა წითელი დროშის ემბლემით, მათ ვერ მისცეს მომავლის ნუგეში ჩვენს ერს, ვერ მისცეს იმიტომ, რომ აკლდათ გამოცდილება, არ იყვნენ მოწოდებულნი ეროვნულ აღორძინებისათვის.

მათ სურდათ სახელმწიფოს შექმნა განუსაზღვრელ გაურკვეველ გზით, იდეოლოგიის გარეშე და 1921 წლის კატასტროფამდე მიგვიყვანეს.

დღეს, ეს მწარე წარსული შეიქმნეს გაკვეთილად. განვიმსჭვალოთ ღრმა რწმენით საქართველოს ბრწყინვალე მომავლისადმი.

ერი, რომელმაც შესძლო უამრავ მსხვერპლის გაღება, რომლის მთა-ბარი მის შვილთა სისხლით მორწყულია, ღირსია უკეთესი ბედისა, მაგრამ... მისი ბედი ჩვენს ხელშია.

არ შეურაცხვყოთ ანდერძი ჩვენ წინაპართა, არ შეურაცხვყოთ ხსოვნა ამ ათი წლის განმავლობაში სამშობლოსათვის დაცემულთა: აფხაზის, ანდრონიკაშვილის და სხვა უამრავ გმირთა და მაშინ დავაახლოვებთ იმ ჟამს, როდესაც, ჩვენ ძლიერნი, ჩვენს ნებისყოფას უკარნახებთ სხვებს.

აღვადგინოთ ქართული ძლევამოსილება, განვავითაროთ გრძნობა თავგანწირვისა და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი.

გენერალი ა. ერისთავი.

---

26 მაისს.

...ის წელი ცეცხლის ასოებით აღბეჭდილია ყველა ქართველის გულში და ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო.

ცივ და თოვლიან ზამთარში გაეხვია ჭაღარა ტფილისი. თეთრი ზეწარი გადაეფარა ამწვანებულ ბაღებს და მდელოებს. მაგრამ რამდენი სიმხიარულე, რამდენი სიცილი მოიტანა თან ცივ ზამბახების ზეციდან ცვენამ.

იცინოდა მთელი ქუჩა— ცელქი შეწითლებული ბიჭუნები თოვლში ყირაზე გადადიოდნენ და მოუსვენარი მოწაფეები თოვლის გუნდებით ესროდნენ გამვლელთ; მხიარულობდნენ მათთან ერთად ნაზი ქალები და მოხდენილი ჭაბუკნი, მაგრამ მათზე გულიანათ იცინოდნენ მოხუცნი.

და ამ დროს, დროს სიმხიარულისა და სიცილისა, უცნაური შავი ღრუბლები სიკვდილისა და განადგურებისა უახლოვდებოდნენ მშვენიერს და უდარდელს საქართველოს. მოდიოდნენ ეს ღრუბლები არა ზეცით, არამედ ჩრდილოეთიდან სადაც მათ უკვე მოჰკლეს და გაანიავეს ყველაფერი. იჭექა ზეცამ.

მწუხარე დღეები განიცადა მაშინ საქართველომ... მტერი სასტიკი და უამრავი მოადგა კარს; მაგრამ არ შეუდრკენ მისი შვილები; ყველა როგორც ერთი წამოიშალნენ სამშობლოს დასაცავად. სიმღერით, ამაყად და მხნედ აწეულ თავებით მიდიოდნენ მკაცრ და უთანასწორო ომში ჭაბუკნი, მოხუცნი და ყმაწვილები; მიდიოდნენ იქ, სადაც სიკვდილი მეფობდა.

...მაგრამ შავმა ღრუბლებმა მაინც დაჰფარა ულამაზესი მარგალიტი...

განვლო რამოდენიმე დღემ. იგივე მოწყენილი ზეცა, იგივე მზე. მაგრამ, ღმერთო! რად ვერა ვცნობ ვერაფერს!? ვერც ქუჩებს, ვერც სახლებს. სად გაჰქრა სიცილი, სიმხიარულე, რომელიც დაუშრეტელი წყაროთ სცემდა აქ მუდამ!

ყველაფერი მოიქუშა, მისწყდა.

მე მახსოვს ერთი დღე რომელიც ესლაც მძიმე ლოდათ მაწევს გულზე ჩვენ შევგროვდით დიდ და ბნელ შენობის წინ. ჩვენ ბევრნი ვართ; მეტად ბევრნი... მხოლოდ ქალები და ბავშვები.

იქ, იმ შენობაში, უბრალო კუბოებში ასვენია ისინი ვინც თავი დასდეს სამშობლოსათვის და ჩვენთვის. შევგროვდით აქ რომ სამუდამოთ გამოვეთხოვოთ... სიჩუმე... დიადი სიჩუმე... უცებ გულშემზარავმა კივილმა ვითა ელვამ დაგვიარა ტანში:— «ძმაო, ჩემო ძმაო!» —ტიროდა და დაჰქვითინებდა თავის ერთად ერთ მარჩენალ ძმას.

ისევ სიჩუმე..., და ისეთი სიჩუმე რომლისგანაც გვეყინება სისხლი. ნელის საბიჯით მივდივართ წინ ჩვენის ძვირფასი განძით. წინ კი ვით შავი ყორანი ირხევა შავი დროშა და ბავშვები ყვავილებით ხელში მისდევენ უკან. რამდენი მწუხარებაა იმათ უმანკო თვალებში! მივდივართ და გზა და გზა გვემატება ხალხი. აი გალავანი, სადაც ძმათა სასაფლაოში მოიპოვებენ მყუდროებას გმირები. დავეშვით მუხლებზე. არც სიტყვები არც გალობა; მხოლოდ ჩუმი და ცხარე ცრემლები გვცვივა თვალთაგან. მშობელმა მიწამ მიიკრა გაცივებულ მკერდზე თავისი საყვარელი შვილები.

შვიდმა წელმა განვლო მას შემდეგ. წამებული საქართველო ისევ გახვეულია შავ დროშაში, რომელიც ცრემლებმა და სისხლმა დაასველა.

დღეს 26 მაისია. დღე ზეიმისა. დღეს კვლავ განიცადა საქართველომ სიტკბოება დამოუკიდებლობის. ასეთ სანეტარო დღეს ალაგი არა აქვს მწუხარე ფიქრებს და განცდებს.

ნუ სტირი საქართველო, ნუ სტირი ჩემო ძვირფასო! ეზრდება, მრავლდება, ჯანსაღდება შენი მომავალი მხედრები, მთელნი სულით და ტანით, მტკიცენი ერთსულოვნებით და უსაზღვრო სიყვარულით შენდამი; ისინი დაამტვრევენ შენზედ დადებულს მძიმე ხუნდებს; აფრიალდება მაღლა დროშა, დროშა თეთრი გიორგის, რომელიც მუდამ იყო შენი მფარველი.

ისინი შესძლებენ მომავალშიაც შენს დაცვას; კვლავ იგემებ ლხინს და სიხარულს.

ბრწყინვალე სხივები შეიჭრებიან შენს ცხოვრებაში.

ვ. ჭიაბრიშვილისა.

ოცდა ექვსი მაისი.

1918 წელი, 26 მაისი თავდადებულ გმირთა ხსოვნის ემბლემაა.

ქართველნი უმწიკვლო მსხვერპლნი შეიქმნენ ლაჟვარდ მაისისათვის. მათი წამებული სიკვდილი, რუსის ჯალათების მიერ, თავდები შეიქმნება სამშობლოს უკვდავი გამარჯვების.

ბინძური რუსეთის რევოლიუციით მოწამლული დღეები აანთეს ჩვენში, რუსული პარტიის მოციქულებმა სოც. დემოკრატიამ, ვისგანაც ნამუს ახდილი ჩვენი ქვეყანა უბედო შეიქმნა ეროვნულ ბრძოლაში.

მათ საერთო არა აქვთ რა საქართველოს ცხოვრებასთან.

საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველი ხალხის სამირკველია, ერის ნებაა.

მას ვერ მისწვდება ვერავითარი პარტიული პროგრამა, რომლისგანაც გამომდინარეობს ერის საწინააღმდეგო ნაწილებათ დაყოფის გზა, რაც მიმართულია მომშურნე სახით საქართველოს საბოლოო მთლიანობის აღდგენის დასათრგუნვათ, ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი საქართველოს აღორძინებისათვის, ერთი მთელი,—მისი ძლიერება.

ჩვენთვის ისევე უცხოა ყველა პარტია, რა სახითაც არ უნდა სჩანდეს პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც უცხო ერები ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ეროვნული სიწმინდის და მთლიანობის დამანგრეველნი.

პარტიათა დღე აღსრულდა ჩვენში, ვიმეორებთ, ისე როგორც უცხო ეროვნებათაგან უნდა გაიწმინდოს სამუდამოთ საქართველოს მიწა-წყალი.

26 მაისი დიდებაა ქართველი ხალხის.

ეს თვალმჭრელი სინათლეა წარსულ ბრწყინვალე საუკუნოებიდან აღმოცენებული, ეს გაერთიანებაა წარსულის აწმყოსთან, სადაც თავდადებული მეომრები ეზიარნენ გამარჯვების სიხარულს, ვის ძარღვებში ჩქეთქდა წინაპართა სისხლი გაჟღენთილი სამშობლოსადმი თავდადებით და სიყვარულით.

შორს ჩვენგან პარტიული ინტერესი, რომელმაც საქართველო დაღუპა, და მომავალშიაც მასვე იმუქრება მას გვიქადის.

სიცრუეა საერთო ფრონტი, სადაც ყოველი ჯურის სოციალისტია მიპატიჟებული თანამშრომლობისათვის. სამშობლოს ახალი განთიადის დასაქრობად არის შეკრებილი ეს მოყიყინე სოციალისტობა.

ღირსეულნო ქართველნო!

მტკიცედ დაიცვათ სამშობლოს სადარაჯო ამ პარტიულ მავნე ელემენტებისაგან, რომ კვლავ 26 მაისი ქართველთ სიხარულით გამთბარი შევისისხლხორცოთ, ქართველ ერის საბედნიეროდ.

თეთრი გიორგის მოწოდებაა: ყოველივე სამშობლოსათვის.

მიეცით გული ჩვენს დიად საქმეს, განიმსჭვალეთ ახალგაზრდული ნებაყოფლობით, რომ აღზრდეს საქართველო ისევ დიადი და ბრწყინვალე.

ძლევამოსილი თეთრი გიორგი გადიღებს ბრძოლის ცეცხლით წამებულ საქართველოს სურათს, რომლიდანაც სამშობლოს სამფეროვანი ცის თაღი ისვება ღირსეულ ქართველის სულში.

იდიდე საქართველოვ!

შენს წმინდა სახეს ვერ წარხოცს რუსეთის მოძალადე ჯალათი.

26 მაისი საქართველოს დროშაა. საუკუნოდან ეროვნულ მწვერვალზე მისული.

26 მაისი ერის ხმაა.

პლეხანოვის პარტიის მოციქულა საქართველოში, სოც. დემოკრატიამ, ვერ შეიცნო და არც დაიცვა ქართველი ხალხის ეროვნული განსახიერება, საქართველოს დროშა ოცდა ექვსი მაისი, სადაც ჰქუხდა ქართველი ხალხის ბედნიერება განთავისუფლებული რუსეთის ბინძურ მონობისაგან.

ჩვენი ბრძოლის განახლებული ქვაკუთხედია 7000 საუკეთესო მამულიშვილთა უკანასკნელი საფლავი, რომელსაც თავს დასტრიალებს სამფერი დროშით საქართველოს გამარჯვების ემბლემა— თეთრი გიორგი.

პეტ. გიორგაძე.

ბრძანება № 71.

ინიშნება თეთრი გიორგის დირექტორის წევრად ბატონი კოკი დადიანი.

მთავარი მდივანი ლეო კერესელიძე.

ბრძანება № 72.

დანიშნულია დირექტორის წევრი ვ. ციცქიშვილი Montpellier თეთრი გიორგის სექციის ხელმძღვანელად.

ბრძანება № 74.

1 განთავისუფლებულია გ. გაზოკიძე Châlons ის თ. გ. სექციის ხელმძღვანელობიდან მის ოდენკურში გამგზავრების გამო.

2. ინიშნება ბ. მ. ონანაშვილი Châlons ის თ. გ. სექციის ხელმძღვანელად.

მთავარი მდივანი ლეო კერესელიძე.

კავკასიის რესპუბლიკათა 10 წლ. დამოუკიდებლობის აღსანიშნავად 3 ივნისს «გავოს» დიდ საკონცერტო დარბაზში (45—47, rue Boétie) გამართული იქნება ქართული გუნდის კონცერტი ბ. პავლე მოსულიშვილის ლოტბარობით შესრულებული იქნება: სახალხო სიმღერები და ფალიაშვილის, არაყიშვილის, ბალანჩივაძის, სულხანიშვილის ნაწარმოებები. სოლისტებად გამოვლენ: ქ—ნნი ვაჩნაძე, ლეჟენის, პროფ. ჩერეპნინი და სხვანი

გუნდი ქულაჯებში.

Le Gérant : Félix KALDENBACH

Montbéliard. — Sté Anonyme d'Imprimerie Montbéliardaise.